ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

ოზურგეთი
2024

შესავალი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (შემდგომში მუნიციპალიტეტი) საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია (შემდგომში კომისია) წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომლის მიზანია:

- საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადება;
- გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობა;
- მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე შესაბამისი მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლი.

ამ მიზნების მისაღწევად კომისია საქმიანობს შემდეგი უფლებამოსილებების ფარგლებში:

- განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებსა და დასკვნებს თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა დაწესების განსაზღვრის, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ზონებად (ისტორიულ-კულტურულ, გამწვანების, დასვენების, სამრეწველო, სავაჭრო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და სხვა სპეციალური ზონების) დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის შესახებ;
- განიხილავს თვითმმართველი ერთეულის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებს და საკრებულოს წარუდგენს შესაბამის დასკვნებს;
- განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ;
- განიხილავს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამათა პროექტებს და საკრებულოს წარუდგენს შესაბამის დასკვნებს;
- განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს თვითმმართველი ერთეულის დასახლებებში ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაცის შესახებ;
- განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს თვითმმართველ ერთეულში ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის, გაუქმების, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის შესახებ;

- განიხილავს ადგილობრივი გზების შენახვისა და განვითარების პროგრამების დაგეგმვის პროექტებს საკრებულოს წარუდგენს შესაბამის დასკვნებს;
- განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურებისა და ადგილობრივი გადაზიდვების წესების, ტრანსპორტის მარშრუტებისა და გრაფიკების განსაზღვრის, ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანის, ავტომანქანის პარკირების მარეგულირებელი ნორმების დადგენის შესახებ;
- განიხილავს სატრანსპორტო სისტემის განვითარებისა დგილობრივ პროგრამების პროექტებს და საკრებულოს წარუდგენს დასკვნას ამ პროგრამების დამტკიცებასთან დაკავშირებით;
- განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და საგზაო მოძრაობის დაგეგმარების შესახებ;
- განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს გარევაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების, ბაზრებისა და ბაზრობებისათვის ადგილების გამოყოფის და ორგანიზების წესების შესახებ;
- განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს გარე რეკლამის განთავსების მარეგულირებელი ნორმების დადგენასთან დაკავშირებით;
- განიხილავს თვითმმართველი ერთეულის ინფორმატიზაციის კონცეფციისა, პროგრამის და თვითმმართველი ერთეულის ვებგვერდის დებულების პროექტებს და საკრებულოს წარუდგენს შესაბამის დასკვნებს;
- განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს თვითმმართველ ერთეულში საინფორმაციო სისტემის, ქსელის, ბაზების, მონაცემთა ბანკების გამოყენების წესების დადგენასთან დაკავშირებით;
- განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს გარე განათების, წყალმომარაგების (მათ შორის ტექნიკური) და წყალნარების უზრუნველყოფის, ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარების სამუშაოთა წარმოების დაგეგმვასთან დაკავშირებით;

წინამდებარე დოკუმენტი აყალიბებს კომისიის სტრატეგიული ხედვის აღწერას, ამოცანებსა და 2024 წლის სამოქმედო გეგმას, ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად. სამოქმედო გეგმის შედგენისას გათვალისწინებული იქნა კომისიის მიერ 2024 წლამდე დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობები, ამასთან, გეგმა ეფუძნება კომისიის მიმდინარე საჭიროებების ანალიზის შედეგებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მეთოდოლოგიური თვალსაზრისით კომისიის 2024 წლის სამოქმედო გეგმა თვისობრივად ახალ და განსახვებულ ფორმატში შემუშავდა. კერძოდ, განახლებული გეგმის ფორმატი ეყრდნობა შედეგებზე ორიენტირებული მართვისა (RBM) და მტკიცებულებებზე დაფუძნებულობის პრინციპებს (EBPM) და შესაბამისობაშია თანამედროვე საჯარო მმართველობის სტანდარტებთან. აღნიშნული სამოქმედო გეგმა შემუშავდა ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის მხარდაჭერით, რაც გულისხმობდა,

როგორც საკრებულოს კომისიის წევრებისთვის აგრეთვე აპარატის თანამშრომელთათვის ჩატარებულ ტრენინგებს ასევე, კონსულტაციებს უშუალოდ გეგმის შემუშავების პროცესში. გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა ის მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და სტრატეგიული დოკუმენტები, რომელიც არსებობს როგორც ცენტრალურ ასევე ადგილობრივ დონეზე

1. სტრატეგიული დოკუმენტები

მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების განვითარების დოკუმენტის მიხედვით მუნციპალიტეტის განვითარების ხედვა შემდეგნაირად განისაზღვრა:

“ოზურგეთი არის ეკონომიკურად სწრაფად მზარდი, ეკოლოგიურად სუფთა, მოსახლეობისაათვის, ტურისტებისა და ინვესტორთათვის საცხოვრებლად, დასასვენელად და და საქმიანობისათვის სასურველი გარემოს მქონე მუნიციპალიტეტი, გამჭვირვალე და დემოკრატიული მმართველობით.”

კომისიისთვის რელევანტურ სფეროებში სტრატეგიული განვითარების მიზნებს და ამოცანებს წარმოადგენს:

მიზანი 2. ინფრასტრუქტურის განვითარება ბიზნესისა და საცხოვრებელი გარემოს გასაუმჯობესებლად

ამოცანა 2.1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება
ამოცანა 2.2. წყალმომარაგების სისტემების განვითარება
ამოცანა 2.3. საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება, გამწვანება და გარე განათების ქსელის გაფართოება
ამოცანა 2.4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესება
ამოცანა 2.5. ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვა
ამოცანა 2.6. ბუნებრივი და სტიქიური უბედურების პრევენცია, ლიკვიდაცია და შედეგების თავიდან აცილების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მიხედვით დაგეგმილია შემოსავლები 37 250 000 თუმცა გასული წლების მაჩვენებლების გთვალისწინებით 50 000 000 ლარს გადააჭარბებს საიდანაც ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაზე (პროგრამული კოდი 02 00) 6 315 000 ლარი დაიხარჯება თუმცა ასევე ეს თანხა წლის ბოლომდე მნიშვნელოვნად გაიზრდება.

პროგრამის განხორციელების საბოლოო შედეგები იქნება:

- მუნიციპალიტეტში მოწესრიგებულია საგზაო ინფრასტრუქტურა და შექმნილია პირობები ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა, შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის.
- ტექნიკურად გამართული წყალმომარაგების სისტემის საშუალებით მოსახლეობა უზრუნველყოფილია სანიტარული ნორმების შესაბამისი უსაფრთხო სასმელი წყლითა და ასევე ტექნიკური წყლით.
- ქალაქსა და დაბებში რეაბილიტირებული და მოწყობილია წყალარინების ქსელი და მოსახლეობა უზრუნველყოფილია კანალიზაციის სისტემის მომსახურებით.
- მუნიციპალიტეტში მოწესრიგებულია საზოგადოებრივი დანიშნულების ღია სივრცეები და შენობა-ნაგებობები და შექმნილია პირობები დასვენებისა და მუნიციპალური სერვისების კომფორტულ გარემოში მისაღებად.
- უზრუნველყოფილია ხარისხიანი ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება.
- უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.
- გაუმჯობესებულია მრავალბინიანი სახლების ინფრასტრუქტურა და მობინადრეთათვის შექმნილია კომფორტული საცხოვრებელი გარემო.
- ღამის საათებში მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისთვის გამართულად ფუნქციონირებს გარე განათების სისტემა და უზრუნველყოფილია გარე განათების ქსელისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების ელ.მომარაგება.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურება და უზრუნველყოფლია მგზავრთა რეგულარული გადაყვანები.

ბიუჯეტით გათვალისწინებულია აგრეთვე ოზურგეთის მუნიციპალტეტის ა(ა)იპ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრის ფუნქციონირება, რისთვისაც 180 000 ლარი დაიხარჯება და მომზადდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, სკვერებების ტროტუარების, შენობა-ნაგებობების, სასაფლაოების, სტადიონების, ახალი აზომვითი ნახაზები (ადგილზე წერტილების აღება, კვალების მონიშვნა. შენობა ნაგებობის შიდა აზომვა და ა.შ) რაც გენერალური გეგმის საბაზისო მონაცემების მოსამზადებლად მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს.

2. კომისიის საქმინობის მარეგულირებელი და სხვა რელევანტური ნორმატიული აქტები

კომისია საკუთარ საქმიანობის პროცესში იყენებს შემდეგ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს:

1. საქართველოს კონსტიტუცია

2. საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”
3. საქართველოს ორგანული კანონი ,,ნორმატიული აქტების შესახებ”
4. საქართველოს კანონი ,,საჯარო სამსახურის შესახებ”

კომისიის საქმიანობის სფეროების მიმართულებებით მუნიციპალიტეტში დამტკიცებულია და მოქმედებს საკრებულოს შემდეგი ნორმატიული აქტები:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილება **“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ”**
2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილება **„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“**
3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის №10 დადგენილება **“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ”**

3. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs)

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის გამგებლობას მიკუთვნებული სფეროების მიხედვით, 17 მდგრადი განვითარების მიზნიდან 3 მიზანი არის რელევანტური:

1. მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია
2. მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა
3. მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები

4. სიტუაციის ანალიზი

კომისიის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხთა დახვეწა და განვითარება ეფუძნება ეროვნულ კანონმდებლობას, მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებსა და დარგობრივ სტრატეგიებს. აღნიშნულ ანალიზში გამოყენებულია სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის საქმიანობის 2021, 2022, 2023 წლების ანგარიშები.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაში და არსებული სოციო-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში მნიშვნელოვანი როლი

აკისრია საგზაო ინფრასტრუქტურის, მოსახლეობის კომუნალური მომსახურების და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

საერთო სახელმწიფოებრივი და შიდა გზები

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი საერთო სახელმწიფოებრივი და შიდა გზების საერთო სიგრძე შეადგენს 1544 კილომეტრს, 2023 წლის მდგომარეობით მოწესრიგებულია შიდა გზების 23,8%. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი-სარფი (წყალწმინდა - ჩოლოქის ხიდი) გზის 12,4 კმ მონაკვეთი, რომელიც მოწყობილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი შიდასახელმწიფოებრივი გზის საერთო სიგრძე შეადგენს 105,4 კმ-ს. მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად იხარჯება მნიშვნელოვანი საბიუჯეტო სახსრები საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის. დღეისათვის შიდა გზების მხოლოდ 23.8%-ია დაფარული ასფალტო-ბეტონისა და ბეტონის საფარით. მუნიციპალიტეტში დიდია გზის ისეთი მონაკვეთების რაოდენობა, რომელიც ტრანსპორტისათვის (მათ შორის სასწრაფო, სახანძრო და სხვა კრიტიკული სიტუაციებში გამოსაყენებელი ტრანსპორტისათვის) ძნელად გასავლელი ხდება წვიმებისა და სტიქიური მოვლენების გამო. ამ გზების მოწესრიგება აუცილებელია, რადგანაც სოფლებში მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა იწვევს მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას, რადგან გაძნელებულია დაკავშირება მუნიციპალიტეტის ცენტრთან, სამუშაო ადგილებთან, სავაჭრო ცენტრებსა და გასაღების ბაზრებთან, ჯანდაცვისა და განათლების ობიექტებთან. ეს კი საბოლოოდ ხდება მოსახლეობის მიგრაციის მიზეზი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია არსებული პრიორიტეტების გათვალისწინებით ახორციელებს სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციას. ეტაპობრივად ხორციელდება შიდა გზების აღდგენითი სამუშაოები.

ხიდები

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საავტომობილო გზებზე მოწყობილია 209 სახიდე გადასასვლელი, საერთო სიგრძით 2520 მეტრი, მ.შ. ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე 177 ერთეული ხიდი, საერთო სიგრძით - 1316 მეტრი.

კომუნალური ინფრასტრუქტურა

სასმელი და სარწყავი არხების ფუნქციონირებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დასახლებულ ერთეულებში სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად. აღნიშნული არხებით იკვებება მოსახლეობის ინდივიდუალური მოხმარების არტეზიული ჭები. ასევე მნიშვნელოვანია სარწყავი არხების გამართულ მუშაობას სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოსარწყავად.

წყალმომარეგების სისტემების აღდგენა-რეაბილიტაცია და მოსახლეობისათვის უსაფრთხო სასმელი წყლის მიწოდების ღონისძიებების უზრუნველყოფა ერთ-ერთ

პრიორიტეტად რჩება. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ სრულდება წყალმომარაგების სისტემის მოწყობა.

წყალარინების ქსელი მოწყობილია ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიის ნაწილში, (საკანალიზაციო ქსელის სიგრძე შეადგენს 34 კმ-ს) და ჩართულია ქალაქის მოსახლეობის 60 %. ქალაქ ოზურგეთში მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ სარგებლობს საკანალიზაციო სისტემით, ქსელის არ არსებობის გამო. იმ ქუჩების ჩამდინარე წყლები, სადაც საკანალიზაციო ქსელი არ არსებობს, პირდაპირ ჩაედინება მდინარეებში, რაც თავის მხრივ ქმნის გარემოს დაბინძურების სერიოზულ რისკებს და იქმნება მძიმე სანიტარული მდგომარეობა. არ არსებობს ქალაქ ოზურგეთის საკანალიზაციო სისტემის გამწმენდი ნაგებობა, რის გამოც იქმნება მძიმე სანიტარული მდგომარეობა. მომდევნო პერიოდში კრიტიკულად აუცილებელია ქალაქ ოზურგეთის საკანალიზაციო ქსელის და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა,

საკურორტო, სარეკრეაციო და გასართობი ინფრასტრუქტურა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის ერთი რეკრეაციული შავი ზღვისპირა კურორტი დაბა ურეკი-შეკვეთილი და საკურორტო ადგილები: გომის მთა, ვაკიჯვარი და ნასაკირალი. შესაბამისად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აუცილებელია საკურორტო და გასართობი ინფრასტრუქტურის არსებობა, რათა დამსვენებლებისა და ტურისტებისათვის შეიქმნას კომფორტული გარემო. მომზადებულია გომისმთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რომლის დამტკიცება მოხდება საკრებულოს მიერ.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის 30 ერთეული 412284,70 კვმ საერთო ფართობის სკვერი, პარკი და ტყე-პარკი. რეაბილიტირებული პარკების წილი შეადგენს 50%.

გასულ წლებში დასრულდა ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის ისტორიული სენობის რეაბილიტაცია. მნიშვნელოვანია განხორციელდეს ქ. ოზურგეთში კინოთეატრის შენობის განახლება, ახალგაზრდობის დასვენებასა
და გართობის თვალსაზრისით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არსებობს რიგი ინფრასტრუქტურული საჭიროებები, რომელთა განხორციელება მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების
თვალსაზრისით:

1. სოფლად არსებული დასახლებების წყალმომარაგების სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, რაც აუცილებელი პირობაა მიგრაციის შესამცირებლად;

2. მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, რაც მნიშვნელოვანია მოსახლეობის საჭიროებებზე დროული ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით;

3. ქალაქ ოზურგეთის წყალარინების ქსელის და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, ქალაქის ტერიტორიის გარემოს დაცვის თვალსაზრისით. ასევ აქტუალურია ქალაქის კომერციული ობიექტების ნორმალური ფუნქციონირებისათვის, რაც იქონიებს დადებით გავლენას ეკონომიკური განვითარების კუთხით.

4. ურეკი-შეკვეთილის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების თვალსაზრისით შიდა გზების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ურეკი-შეკვეთილის დამაკავშირებელი ხიდის მოწობა
მდ. სეფაზე, ურეკის ტერიტორიაზე ცენტრალური პარკის მოწყობა. საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარება აუცილებელი ფაქტორია ტურისტული პოტენციალის გაზრდის თვალსაზრისით;

5. კურორტ გომისმთის შიდა ტერიტორიის (შიდა გზები, საზოფგადოებრივი სივრცეები) ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც გაზრდის დამსვენებელთა ინტერესს;

6. საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება, რაც იძლევა ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი მოსახლეობის და ვიზიტორების კომფორტული მომსახურების შესაძლებლობას.

5. კომისიის სტრატეგიული ამოცანები

კომისია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობათა ფარგლებში. კერძოდ, აქტიურად მონაწილოებს პოლიტიკის განსაზღვრის, ფინანსების განაწილების და ნორმატიული აქტების განხილვის და დამტკიცების პროცესებში და ახორციელებს საზედამხედველო საქმიანობას, უზრუნველყოფს საზოგადოებასთან კომუნიკაციას და სამოქალაქო ჩართულობას, შიდა ორგანიზაციული პროცესების მართვას.

სტრატეგიული ამოცანა 1 – სამართლებრივი ბაზის და მისი აღსრულების გაუმჯობესების ხელშეწყობა

კომისია წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომლის მიზანია საკრებულოში განსახილველი საკითხების წინასწარი მომზადება,

ხოლო საკრებულოს უმთავრეს და ექსკლუზიურ ფუნქციას წარმოადგენს ნორმატიული ხასიათის რეგულაციების, ქცევის ზოგადი წესების დადგენა. შესაბამისად, კომისია განსაკუთრებულ როლს შეასრულებს და იღებს პასუხიმგებლობას, რომ მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ დარგებში სამართლებრივი ბაზა იყოს გამართული. კომისია განახორციელებს სამართლებრივი აქტების მუდმივ მონიტორინგს, შეისწავლის დაინსტერესებული მხარეების საჭიროებებს, გაეცნობა დარგში არსებული კარგი პრაქტიკის მაგალითებს და ამაზე დაყრდნობით შეიმუშავებს დასკვნებს და ინიციატივებს.

სტრატეგიული ამოცანა 2 – დარგობრივი/ინსტიტუციური განვითარების პოლიტიკის და საბიუჯეტო პროგრამების გაუმჯობესების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი არის მუნიციპალიტეტის უმთავრესი პოლიტიკის დოკუმენტი. პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს კონკრეტულ საჯარო სფერო(ებ)ში პრობლემების გადაწყვეტის ან/და საჯარო სერვისების განვითარების გზებს. გაანალიზებული პრობლემების საპასუხოდ დოკუმენტში ჩამოყალიბებული მიზნები და ამოცანები შემდგომ თვითმმართველი ერთეულის „პრიორიტეტების დოკუმენტის“, ბიუჯეტის ფორმირების, საბიუჯეტო პროგრამებისა და ქვეპროგრამების საფუძველი ხდება. მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტთან ერთად, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ასევე ხელმძღვანელობენ პოლიტიკის სექტორული თუ თემატური დოკუმენტებით (სტრატეგიები, გეგმები და სხვა).

პოლიტიკის დოკუმენტებით განსაზღვრული შედეგები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამების განხორციელებით მიიღწევა. შესაბამისად კომისია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს და ხელს შეუწყობს პოლიტიკის დოკუმენტებით და საბიუჯეტო პროგრამებით განსაზღვრული შედეგების სინქრონიზებას, პოლიტიკის დოკუმენტების და ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ჩართვას, მონიტორინგს გაუწევს პოლიტიკის დოკუმენტების ინდიკატორებით განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლების მიღწევას.

კომისია უზრუნველყოფს დარგობრივი/სექტორული პოლიტიკის დოკუმენტების და მათი სამოქმედო გეგემების შესრულების მონიტორინგს და წარმოადგენს ინიციატივებს მათი გაუმჯობესების შესახებ.

სტრატეგიული ამოცანა 3 - საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერება

წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ეფექტური საზედამხედველო მექანიზმების დანერგვით და განვითარებით, მუნიციპალიტეტში გაძლიერდება აღმასრულებელი ორგანოს და თანამდებობის პირების ანგარიშვალდებულება, აღმასრულებელი ორგანოს და თანამდებობის პირების საქმიანობა კანონმდებლობის შესაბამისად წარიმართება, გაიზრდება მოქალაქეთა

ინფორმირებულობა აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის შესახებ და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვა სათანადოდ გაკონტროლდება.

ამისთვის, კომისია უზრუნველყოფს ყველა შესაძლო საზედამხედველო ფუნქციის გამოყენებას და პრაქტიკაში დანერგვას. კომისია გარდა ყოველწლიური რუტინული ანგარიშების მოსმენის გაუმჯობესებისა, ასევე ხელს შეუწყობს ახალი მექანიზმების გამოყენებას, რომლებიც დაემატა და განისაზღვრა საკრებულოს რეგლამენტში და კომისიის დებულებაში. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომ საზედამხედველო ფუნქციების განხორციელებაში კომისიის ყველა წევრი ჩაერთვება და მათ შორის ფუნქციები მეტ-ნაკლებად თანაბრად გადანაწილდება.

სტრატეგიული ამოცანა 4 – კომისიის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება

საქართველოს მთავრობის 2020-2025 დეცენტრალიზაციის სტრატეგიის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებისთვის აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების ავტონომიურობა, მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისობა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობა და მათ საქმიანობაში მოქალაქეთა ფართო მონაწილეობა და საზოგადოებრივი კონტროლის, შეფასებისა და ანგარიშვალდებულების ქმედითი მექანიზმების დამკვიდრება.

შესაბამისად, კომისია ამ სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შექმნის მოქალაქეთა მონაწილეობის კანონით გათვალისწინებული ინსტრუმენტების პრაქტიკაში დანერგვის შესაბამის პირობებს, დანერგავს ქალების, ახალგაზრდების და შშმ პირებისთვის კომისიის საქმიანობის პროცესში დამატებითი მონაწილეობის ინსტრუმენტებს, მოქალაქეებს ჩართავს პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცესში, დანერგავს საბიუჯეტო პროცესში მონაწილეობის კარგი პრაქტიკის მაგალითებს (მონაწილოებითი ბიუჯეტირება და სხვა), ხელს შეუწყობს მოქალაქეთა მონაწილოების ინოვაციური (მათ შორის ციფრული) მექანიზმების დანერგვას, შედეგად გააძლიერებს საკუთარი საქმიანობის გამჭვირვალობის და საზოგადოებასთან ანაგარიშვალდებულების ხარისხს.

6. სამოქმედო გეგმის განხორციელება

წინამდებარე სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა კომისიას ეკისრება, თითოეულ აქტივობაზე კი, განსაზღვრულია კონკრეტული დეპუტატი (თემატური მომხსენებელი). 2024 წლის მარტის მონაცემებით, კომისიის წევრები არიან:

1. ბექა თოიძე (თავმჯდომარე)
2. თამაზი ტუღუში
3. ალექსანდრე ღლონტი
4. ლევანი კილაძე
5. ტარიელ არუშიძე
6. დავით ჭაკნელიძე
7. ნინო ჭანიშვილი
8. ვლადიმერ ხავთასი
9. ნუგზარ ურუშაძე
10. ალეკო ბურჭულაძე
11. გიორგი სირაძე
12. თორნიკე გოგუაძე
13. ბესო ქათამაძე
14. შალვა თავდიშვილი
15. თათია ნიკოლაიშვილი
16. გოჩა შილაკაძე
17. ნუგზარ სარჯველაძე
18. დავით მდინარაძე

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები რაოდენობრივ ჭრილში შემდეგნაირად განაწილდება:



7. მონიტორინგი და ანგარიშგება

კომისია გეგმის დამტკიცებისთანავე დაიწყებს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს. კერძოდ, მონიტორინგის ეტაპზე გეგმაში წარმოდგენილ თითოეული

აქტივობის ანალიზის შედეგად მიენიჭება სტატუსი, რომლის საფუძველზე გამოითვლება განხორციელების დონის მაჩვენებელი, როგორც მთლიანად გეგმასთან მიმართებით, ასევე სტრატეგიული ამოცანების ჭრილში. თითოეული აქტივობის განხორციელებასთან დაკავშირებით მინიჭებული იქნება შემდეგი სტატუსები:

• სრულად განხორციელდა – 100%
• მეტწილად განხორციელდა – 51-99%
• ნაწილობრივ განხორციელდა – 1-50%
• არ განხორციელდა – 0%

წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, მონიტორინგის შედეგად დაიწერება წლიური ანგარიში, რომლებიც განხილული იქნება კომისიაზე და წარედგინება საკრებულოს თავმჯდომარეს. წლიურ ანგარიშში დაფარული იქნება ერთი წლის განმავლობაში სრულად განხორციელებული აქტივობები სრულად. ანგარიში გამოქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე.

წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას შემდეგი საკითხების შესახებ:

- შესავალი - ინფორმაცია დოკუმენტის, მისი მიზნის და მეთოდოლოგიური საკითხების შესახებ. ზოგადი ინფორმაცია კომისიის შესახებ
- კომისიის მთავარი მიღწევები და გამოწვევები
- სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ზოგადი შედეგები
- მონიტორინგის შედეგები თითოეული ამოცანის და აქტივობის შესრულების შესახებ

8. სამოქმედო გეგმა

ამოცანა 1	სამართლებრივი ბაზის და მისი აღსრულების გაუმჯობესების ხელშეწყობა	SDGs	
		საბაზისო 2024	სამიზნე 2025
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.	ნორმატიული რეგულაციების გაუმჯობესების მიზნით მომზადებული რეკომენდაციების რაოდენობა	0	6
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.	ინიცირებული ნორმატიული აქტების ან/და ცვლილებების შესახებ კომისიის მომზადებული დასკვნების რაოდენობა	0	2

აქტივობა		ინდიკატორი	დადასტურების წყარო	თემატური მომხსენებელი	პარტნიორი ორგანიზაცია	ვადა
1.1.	სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის სფეროში მოქმედი ნორმატიული ბაზის შეფასება/საჭიროებების და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება	შეფასებულია სფეროში არსებული ნორმატიული აქტები, მომზადებულია კომისიის დასკვნა და შემუშავებულია არანაკლებ 3 რეკომენდაცია	შეფასების ანგარიში			
1.2.	თვითმმართველი ერთეულის დასახლებებში ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის სფეროში მოქმედი ნორმატიული ბაზის შეფასება/საჭიროებების და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება	შეფასებულია სფეროში არსებულ ნორმატიული აქტები, მომზადებულია კომისიის დასკვნა და შემუშავებულია არანაკლებ 3 რეკომენდაცია	შეფასების ანგარიში			

1.3.	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეკლამის განთავსების სფეროში მოქმედო ნორმატიული ბაზის შეფასება/საჭიროებების და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება	შეფასებულია სფეროში არსებულ ნორმატიული აქტები, მომზადებულია კომისიის დასკვნა და შემუშავებულია არანაკლებ 3 რეკომენდაცია	შეფასების ანგარიში			აგვისტო, 2024

ამოცანა 2	დარგობრივი/ინსტიტუციური განვითარების პოლიტიკის და საბიუჯეტო პროგრამების გაუმჯობესების ხელშეწყობა	SDGs	
		საბაზისო 2024	სამიზნე 2025
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.	პოლიტიკის დოკუმენტების გაუმჯობესების მიზნით მომზადებული რეკომენდაციების ჯამური რაოდენობა	0	
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.	საბიუჯეტო პროგრამების გაუმჯობესების მიზნით მომზადებული რეკომენდაციების რაოდენობა	0	6

აქტივობა		ინდიკატორი	დადასტურების წყარო	თემატური მომხსენებელი	პარტნიორი ორგანიზაცია	ვადა
2.1.	მუნიციპალიტეტის განვითარების/ინსტიტუციური პოლიტიკის დოკუმენტების და მათი სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასება	შემუშავებულია მუნიციპალიტეტის განვითარების და მინიმუმ ერთი დარგობრივი განვითარების დოკუმენტის (არსებობის შემთხვევაში) და მათი სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიში	შეფასების ანგარიში			
2.2.	ადგილობრივი გზების შენახვისა და განვითარების სფეროში არსებული მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამების და მათი შესრულების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება	ჩატარებულია მინიმუმ 1 შეფასების ანალიზი და შემუშავებულია არანაკლებ 3 რეკომენდაცია	შეფასების ანგარიში			

2.3.	თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში არსებული მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამების და მათი შესრულების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება	ჩატარებულია მინიმუმ 1 შეფასების ანალიზი და შემუშავებულია არანაკლებ 3 რეკომენდაცია	შეფასების ანგარიში			
2.4.	ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების არსებული მდგომარეობის განხილვა	ჩატარებულია მინიმუმ 1 განხილვა და შემუშავებულია დასკვნა/რეკომენდაცია/წინადადება	კომისიის სხდომის ოქმი			აპრილი, 2024
2.5.	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების ქსელის არსებული მდგომარეობის განხილვა	ჩატარებულია მინიმუმ 1 განხილვა და შემუშავებულია დასკვნა/რეკომენდაცია/წინადადება	კომისიის სხდომის ოქმი			აპრილი, 2024
2.6.	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების ქსელში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის განხილვა	ჩატარებულია მინიმუმ 1 განხილვა და შემუშავებულია დასკვნა/რეკომენდაცია/წინადადება	კომისიის სხდომის ოქმი			მაისი, 2024
2.7.	უსახლკარო პირების მიერ მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი ფართის მიზანმიმართულად გამოყენების და მობინადრეთა მიერ მათი ექსპლუატაციის	ჩატარებულია მინიმუმ 1 განხილვა და შემუშავებულია დასკვნა/რეკომენდაცია/წინადადება	კომისიის სხდომის ოქმი			მაისი, 2024

	მდგომარეობის შესწავლა და განხილვა					
2.8.	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალგამყვანი და წყალშემკრები არხების მდგომარეობის განხილვა	ჩატარებულია მინიმუმ 1 განხილვა და შემუშავებულია დასკვნა/რეკომენდაცია/წინადადება	კომისიის სხდომის ოქმი		აგრარული ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების კომისია	ივნისი, 2024
2.9.	სკვერების, პარკების ინვენტარიზაცია და მდგომარეობის შესწავლა	ჩატარებულია მინიმუმ 1 განხილვა და შემუშავებულია დასკვნა/რეკომენდაცია/წინადადება	კომისიის სხდომის ოქმი		აგრარული ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების კომისია	ივნისი, 2024
2.10.	უპატრონო და მაწანწალა ძაღლების თავშესაფარის ინფრასტრუქტურის მდგომარეობის განხილვა	ჩატარებულია მინიმუმ 1 განხილვა და შემუშავებულია დასკვნა/რეკომენდაცია/წინადადება	კომისიის სხდომის ოქმი		აგრარული ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების კომისია	ივლისი, 2024
2.11.	ინფრასტრუქტურული მიმართულებების სამუშაოების მიმდინარეობის შედეგების განხილვა 2023 წლის I-ლი ნახევრის მდგომარეობით	ჩატარებულია მინიმუმ 1 განხილვა და შემუშავებულია დასკვნა/რეკომენდაცია/წინადადება	კომისიის სხდომის ოქმი		სხვა კომისიები	ივლისი, 2024

2.12.	სოფლის მეურნეობის განვითარების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიმდინარეობის განხილვა	ჩატარებულია მინიმუმ 1 განხილვა და შემუშავებულია დასკვნა/რეკომენდაცია/წინადადება	კომისიის სხდომის ოქმი			აგვისტო, 2024
2.13.	მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავებისა და ნარჩენების შეგროვების და გატანის მდგომარეობის განხილვა	ჩატარებულია მინიმუმ 1 განხილვა და შემუშავებულია დასკვნა/რეკომენდაცია/წინადადება	კომისიის სხდომის ოქმი			სექტემბერი, 2024
2.14.	ქალაქმშენებლობის დოკუმენტების შექმნის მიმდინარეობის მდგომარეობის შესწავლა-განხილვა	ჩატარებულია მინიმუმ 1 განხილვა და შემუშავებულია დასკვნა/რეკომენდაცია/წინადადება	კომისიის სხდომის ოქმი			სექტემბერი, 2024
2.15.	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოების შედეგების განხილვა	ჩატარებულია მინიმუმ 1 განხილვა და შემუშავებულია დასკვნა/რეკომენდაცია/წინადადება	კომისიის სხდომის ოქმი			ოქტომბერი, 2024
2.16.	სოფლის მხარდამჭერი პროგრამების განხორციელების მიმდინარეობის განხილვა	ჩატარებულია მინიმუმ 1 განხილვა და შემუშავებულია დასკვნა/რეკომენდაცია/წინადადება	კომისიის სხდომის ოქმი			
ამოცანა 3	**საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერება**				SDGs	
					საბაზისო 2024	სამიზნე 2025
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1.	გამოყენებული საზედამხედველო მექანიზმების ჯამური რაოდენობა და ჯერადობა					
აქტივობა	**ინდიკატორი**	**დადასტურების წყარო**	**თემატური მომხსენებელი**	**პარტნიორი ორგანიზაცია**	**ვადა**	

3.1.	კომისიის სხდომაზე თანამდებობის პირის მოწვევა (სავალდებულო დასწრება)	ჩატარებულია განხილვების N რაოდენობა რომელსაც ესწრებოდა ანაგრიშვალდებული თანამდებობის პირი (სავალდებულო დასწრება)	კომისიის სხდომის ოქმი			
3.2.	საკრებულოს სხდომაზე თანამდებობის პირის მოწვევის ინიცირება	დაინიცირებულია საკრებულოს სხდომაზე ანაგრიშვალდებული პირების მოწვევის შესახებ N *რაოდენობა* კომისიის ინიციატივა	საკრებულოს სხდომის ოქმი			
3.3.	საკრებულოსადმი ანგარიშვალდებულ ორგანოთა და თანამდებობის პირების საქმიანობის ანგარიშების მოსმენა (ყველა ანგარიშვალდებული პირის მიმართ ცალ ცალკე აქტივობა)	ჩატარებულია ანგარიშვალდებული თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ N *რაოდენობა* მოსმენა	ანგარიშვალდებული თანამდებობის პირის ანგარიში, კომისიის სხდომის ოქმი			
3.4.	ინფრასტრუქტურული მიმართულების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ანგარიშების მოსმენა 2023 წლის 9 თვის მდგომარეობით	ჩატარებულია ანგარიშვალდებული თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ N *რაოდენობა* მოსმენა	ანგარიშვალდებული თანამდებობის პირის ანგარიში, კომისიის სხდომის ოქმი			ოქტომბერი, 2024
3.5.	თემატური მომხსენებლის მიერ X საკითხზე ანგარიშის მომზადება და კომისიის სხდომაზე განხილვა	შემუშავებულია 1 ანგარიში X საკითხზე დანიშნული თემატური მომხსენებლის მიერ	თემატური მომხსენებლის ანგარიში			
3.6.	X საკითხზე თემატური მოკვლევის ჩატარება	ჩატარებულია 1 თემატური მოკვლევა	თემატური მოკვლევის ანგარიში			
ამოცანა 4		**კომისიის საქმიანობის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება**			SDGs	
					საბაზისო (2024)	სამიზნე -2025

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.						
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.2.						
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.3.		ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსში კომისიის სხდომებში არანაკლებ 30%-ით გაზრდილი მოქალაქეთა მონაწილეობის მაჩვენებელი				
აქტივობა		**ინდიკატორი**	**დადასტურების წყარო**	**თემატური მომხსენებელი**	**პარტნიორი ორგანიზაცია**	**ვადა**
4.1.	კომისიის საქმიანობის შესახებ ახალი ამბების, ანონსების, დღის წესრიგის, კომისიის სხდომის ოქმების და საქმიანობის ანგარიშების გამოქვეყნება საკრებულოს ვებგვერდზე ან/და სოციალურ ქსელში	გამოქვეყნებულია არანაკლებ 15 ახალი ამბავი, ანონსი, ყველა სხდომის წინ კომისიის სხდომის დღის წესრიგი, ყველა კომისიის სხდომის შემდეგ კომისიის სხდომის ოქმი (სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში) და კომისიის საქმიანობის ანგარიში	მუნიციპალიტეტის ვებგვერდი, მუნიციპალიტეტის სოციალური ქსელი			
4.2.	კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადება დამტკიცებული ფორმის შესაბამისად	მომზადებულია წლიური ანგარიში	კომისიის წლიური ანგარიში			
4.3.	კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ წლიური ანაგრიშის გამოქვეყნება და საჯარო განხილვის ჩატარება	ჩატარებულია კომისიის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის მინიმუმ 1 საჯარო განხილვა	საჯარო შეხვედრის ოქმი			
4.4.	2025 წლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მომზადება	მომზადებულია/განახლებულია კომისიის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა	კომისიის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა			
4.5.	კომისიის საქმიანობის და საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციის შესახებ მოქალაქეებთან/დაინტერესებულ პირებთან	ჩატარებულია მინიმუმ 3 შეხვედრა, თითო შეხვედრაზე მინიმუმ 10 დაინტერესებული პირის მონაწილეობით	საჯარო შეხვედრის ოქმი			

	ინფორმაციული შეხვედრების ჩატარება					
4.6.	კომისიის სხდომებზე მოქალაქეთა დასწრებისთვის განკუთვნილი სივრცის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა (მათ შორის ციფრული ინფრასტრუქტურის)	(ინდივიდუალურად ყველა კომისიის შემთხვევაში საჭიროებისამებრ გაიწერება აქტივობის ინდიკატორი)				